ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 35

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სახელობითი ფულადი ჯილდოს (პრემია) გაცემის წესის, საკონკურსო ვადებისა და დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ

16 მაისი, 2018 წ. ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრისN129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის “ფ“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2018 წლის 15 მაისის N MES 2 18 00577096 წერილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2018 წლის 16 მაისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი) გამოცხადდეს კონკურსი, ცნობილი ქართველი მეცნიერების, ილია აბულაძისა და ელენე მეტრეველის სახელობითი პრემიების მოსაპოვებლად;
2. სახელობითი პრემიის გაცემის წესი განისაზღვროს დანართი - 1 ის შესაბამისად;
3. პრემიის მაძიებელმა (შემდგომში-ავტორმა) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ცენტრში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

   ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი (სამ ეგზემპლარად);

   ბ) წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას ფილოლოგიური მეცნიერების ან, რომელიმე სხვა დარგის განვითარებისთვის;

   გ) მონაცემები ავტორის შესახებ (ავტობიოგრაფია, cv, სამეცნიერო ნაშრომთა ნუსხა);

   დ) წარმომდგენი ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის (ების) (დარგის სპეციალისტის) რეკომენდაცია, ნაშრომის მეცნიერული ღირებულების ჩვენებით;

   ე) დასტური იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული სხვა რომელიმე პრემია;

4. ბრძანების მესამე მუხლით განსაზღვრული საბუთების მიღება იწარმოებს 2018 წლის 16 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით 16:00 საათიდან 18:00 საათამდე ცენტრის კანცელარიაში, მის.: მ. ალექსიძის ქ N 1/3;
5. 2018 წლის 22 ივნისს გაიმართოს ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, სადაც ფარული კენჭისყრის საფუძველზე გამოვლინდება გამარჯვებული (პრემირებული);
6. სამეცნიერო საბჭომ არაუგვიანეს 25 ივნისისა ცენტრის დირექტორს წარუდგინოს რეკომენდაცია გამარჯვებული ნაშრომის ავტორისათვის პრემიის მინიჭების თაობაზე;
7. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და კულტურული პროგრამების სამსახურს კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www. manuscript.ge;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დირექტორი *ზაალ აბაშიძე*

211368474

დანართი 1

სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებული სახელობითი ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) მიერ დაწესებული სახელობითი ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემის წესი (შემდგომში - წესი) ადგენს ცენტრის მიერ დაწესებული სახელობითი ფულადი ჯილდოს (პრემიის) (შემდგომში - პრემია) გაცემის წესს.
2. ცენტრი მეცნიერული ნაშრომისათვის (ნაშრომთა ციკლისათვის) აცხადებს კონკურსს შემდეგი სახელობითი პრემიის მოსაპოვებლად:
   ა) ილია აბულაძის სახელობის პრემია, გაიცემა ხელნაწერი მემკვიდრეობის (ფილოლოგია) შესწავლის სფეროში შექმნილი განსაკუთრებული ღირებულების გამოკვლევისთვის;
   ბ) ელენე მეტრეველის სახელობის პრემია, გაიცემა ხელნაწერი მემკვიდრეობის (ისტორია-წყაროთმცოდნეობა-ფილოლოგია-ხელოვნებათმცოდნეობა) შესწავლის სფეროში შექმნილი განსაკუთრებული ღირებულების გამოკვლევისთვის;
3. პრემია გაიცემა კონკურსის საფუძველზე ორ წელიწადში ერთხელ, ხელნაწერის დღის აღსანიშნავად.

მუხლი 2. მოთხოვნები პრემიის მაძიებლის მიმართ

1. პრემიის მაძიებელი (შემდგომში-ავტორი) შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხოეთის ნებისმიერი ქვეყანის მოქალაქე, მკვლევარი-ხელნაწერთმცოდნე, რომელიც მუშაობს ძველი ქართული სასულიერო თუ საერო ლიტერატურის, ისტორია-წყაროთმცოდნეობის და ხელოვნებათმცოდნეობის (ხელნაწერის ხელოვნების) სფეროში; პრემია ავტორს შეიძლება მიენიჭოს გარდაცვალების შემდეგაც;
2. ავტორის მიერ ცენტრში წარმოდგენილი ნაშრომი (რომელიც გამოქვეყნებულია ბოლო 5 წლის განმავლობაში), უნდა ასახავდეს, მხოლოდ ქართული ხელნაწერების ფილოლოგიურ, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ან ხელოვნებათმცოდნეობით კვლევასა და ანალიზს;
3. საკონკურსოდ არ მიიღება კვლევის და ანალიზის გარეშე წარმოდგენილი ნაშრომი (მაგ: ალბომი ან მხოლოდ ტექსტის პუბლიკაცია) ;

4. ნაშრომი, რომელსაც უკვე მინიჭებული აქვს სახელმწიფო ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, ილია აბულაძის და ელენე მეტრეველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

მუხლი 3. ზოგადი საკონკურსო პირობები პრემიის მოსაპოვებლად

1. პრემიის მოსაპოვებლად ცენტრი აცხადებს კონკურსს;
2. მეცნიერული ღირებულებისა და კვლევის სიახლის გათვალისწინებით ცენტრის სამეცნიერო საბჭო განიხილავს საკონკურსოდ შემოსულ ნაშრომს და ცენტრის დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციას ავტორისთვის პრემიის მინიჭების შესახებ;
3. ილია აბულაძისა და ელენე მეტრეველის სახელობის პრემიის მოპოვების შემთხვევაში, კონკურსში გამარჯვებულს გადაეცემა დიპლომი, მედალი (დიპლომის და მედლის ფორმა მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით) და ერთჯერადად 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი (ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით;
4. წარმოდგენილ ნაშრომზე, ორი ან მეტი ავტორის არსებობის შემთხვევაში ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული თანხა ნაწილდება თანაბრად;
5. გარდაცვლილი ავტორისთვის (ავტორებისთვის) პრემიის მინიჭების შემთხვევაში გაიცემა, მხოლოდ დიპლომი და მედალი, რომელიც გადაეცემა პრემირებულის ოჯახს.
6. საკონკურსო ვადები და დამატებითი პირობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4. დამატებითი პირობები

1. პრემიით დაჯილდოებული ნაშრომის ავტორს(ებს) გადაეცემა დაწესებული ფულადი ჯილდო, მედალი და დიპლომი, ხელნაწერის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით გამართულ ცენტრის საზეიმო სხდომაზე;
2. ნაშრომი, რომელსაც პრემია მიენიჭება, ინახება ცენტრის არქივში, ხოლო, რომელსაც არ მიენიჭება უბრუნდება ავტორს;

მუხლი 5. წესში შესატანი ცვლილებები და დამატებები

წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.